

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებისა და კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის წესის დამტკიცების თაობაზე

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში „კომისია“), 2016 წლის 1 მარტის N2 დადგენილებით დაამტკიცა „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულება“ რომლითაც შეიცვალა კომისიის აპარატის სტრუქტურა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციათა განაწილება. დებულების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2016 წლის 30 დეკემბერი.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული დებულებით ახლებურად განისაზღვრა კომისიის აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულები. არსებული სტრუქტურისა და პოზიციების კომისიის 2016 წლის 1 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მიხედვით განსაზღვრულ ფუნქციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია კომისიის აპარატში დასაქმებულთა კვალიფიკაციისა და

პროფესიული ზრდის პოტენციალის შეფასება ატესტაციის გზით. ამ მიზნით, კომისიამ 2016 წლის 16 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება N411/22 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დასაქმებულთა შეფასების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე, რომლის თანახმადაც, განისაზღვრა კომისიის აპარატში დასაქმებულთა კვალიფიკაციის, პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების შეფასება ატესტაციის (სტანდარტიზირებული ტესტები და გასაუბრება) გზით.

ზემოხსენებულმა პროცესმა შესაძლოა გამოიწვიოს ცვლილება კომისიის აპარატში დასაქმებულთა შრომით ურთიერთობებში, შესაბამისად, კომისიას მნიშვნელოვნად მიაჩნია, წინამდებარე გადაწყვეტილებით კომისიის აპარატში დასაქმებულთა გაფრთხილება შრომითი ურთიერთობების მოსალოდნელი ცვლილებების, მათ შორის: შრომითი ხელშეკრულებების მოსალოდნელი შეწყვეტის, შტატების გაუქმების, გადაადგილების და/ან შემცირების თაობაზე.

ამასთან, რეორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა შრომის შინაგანაწესისა და სტანდარტული შრომითი ხელშეკრულებების ფორმების დახვეწის საჭიროება. კომისიას აუცილებლად მიაჩნია, აღნიშნული დოკუმენტაციის სრულყოფა მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 103-ე, 104-ე, 105-ე მუხლების, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და მე-8 მუხლების, ასევე საქართველოს შრომის კოდექსის მე-11, 37-ე და 38-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. კომისიის 2016 წლის 1 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული დებულების სრულყოფილად ამოქმედებისათვის აუცილებელი ორგანიზაციული ცვლილებების უზრუნველყოფის მიზნით:

- 1.1. დაიწყოს კომისიის აპარატის ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელება;
- 1.2. დაევალოს კომისიის აპარატის კონსულტანტს რეორგანიზაციის საკითხებში (თ. ბოკუჩავა):
 - 1.2.1. არაუგვიანეს 2016 წლის 12 ოქტომბრისა კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინოს კომისიის აპარატის ახალი საშტატო ნუსხის პროექტი 2016 წლის 1 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების შესაბამისად;
 - 1.2.2. არაუგვიანეს 2016 წლის 12 ოქტომბრისა კომისიას წარუდგინოს კომისიის 2016 წლის 1 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად მომზადებული საშტატო ნუსხის პროექტით განსაზღვრული პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაოთა აღწერილობების პროექტი;
- 1.3. დაევალოს კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს არაუგვიანეს 2016 წლის 7 ოქტომბრისა კომისიის აპარატის კონსულტანტს რეორგანიზაციის საკითხებში (თ. ბოკუჩავა) წერილობითი ფორმით მიაწოდონ თავიანთი მოსაზრებები ახალი საშტატო ნუსხის პროექტით განსაზღვრული პოზიციებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაოთა აღწერილობების პროექტების თაობაზე.

1.4. დაევალოს კომისიის აპარატის კონსულტანტს რეორგანიზაციის სამართლებრივ საკითხებში (თ. ჭელიძე), არაუგვიანეს 2016 წლის 17 ოქტომბრისა მოამზადოს და კომისიას წარუდგინოს:

ა) კომისიის აპარატის შრომის შინაგანაწესის პროექტი;

ბ) სტანდარტული შრომითი ხელშეკრულების პროექტი;

გ) კომისიისთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად განსაზღვრული ვადით დასაქირავებელი პირებისთვის შრომითი და ნარდობის ხელშეკრულებების პროექტები;

2. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დასაქმებულთა შეფასების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ კომისიის 2016 წლის 16 ივნისის N411/22 გადაწყვეტილების შესაბამისად, დამტკიცდეს დანართი N1-ით წარმოდგენილი „სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის წესი“.

3. კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის (ტესტირება და გასაუბრება) კონკრეტული თარიღები განისაზღვროს კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით.

4. წინამდებარე გადაწყვეტილებით კომისია, საქართველოს შრომის კოდექსის მე-11, 37-ე და 38-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, აფრთხილებს კომისიის აპარატის დასაქმებულებს ორგანიზაციული ცვლილებების გამო შრომითი ურთერთობების მოსალოდნელი ცვლილებების, მათ შორის მოქმედი შრომითი ხელშეკრულებების შესაძლო შეწყვეტის, შტატების შესაძლო გაუქმების, გადაადგილების და/ან შემცირების თაობაზე, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესაძლო არსებითი ცვლილებებისა და შტატების შესაძლო შემცირების შედეგად კომისიის აპარატში დასაქმებულთა გათავისუფლების შესახებ.

5. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა), არაუგვიანეს 2016 წლის 10 ოქტომბრისა:

ა) ჩააბაროს კომისიის აპარატში ყველა დასაქმებულს წინამდებარე გადაწყვეტილება დანართების ჩათვლით (კანცელარიის ბეჭდით დამოწმებული ასლები) და უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის დოკუმენტირება ხელმოწერების სახით, დანართი N2-ის შესაბამისად, რითაც დადასტურდება კომისიის აპარატის დასაქმებულთა მიერ ამ გადაწყვეტილების და მისი დანართების მიღება (ჩაბარება).

ბ) უზრუნველყოს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის გაგზავნა კომისიის აპარატის თითოეული დასაქმებულის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

6. დასაქმებულის მიერ ამ გადაწყვეტილების (დანართების ჩათვლით) ჩაბარებაზე უარი ნიშნავს მიმდინარე ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების დროს ატესტაციაში მონაწილეობაზე უარს და ჩაითვლება დასაქმებულის მიერ მნიშვნელოვანი დავალების შეუსრულებლობად. შედეგად, შეუძლებელი გახდება დასაქმებულის შესაბამისობის დადგენა დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან. დასაქმებული, რომელმაც არ გაიარა ატესტაცია, არ იქნება გათვალისწინებული ახალი სამტატო ნუსხის დაკომპლექტების პროცესში.

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) გადაწყვეტილების კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის თავმჯდომარეს (ვ.აბაშიძე).

კომისიის თავმჯდომარე	ვ.აბაშიძე
კომისიის წევრი	ე.ასანიძე
კომისიის წევრი	კ.ბექაური
კომისიის წევრი	გ.ფრუიძე
კომისიის წევრი	მ. ქათამაძე

